დამტკიცებულია

შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის
დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-12 ბრძანებით

შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის
რემედიაციის მექანიზმი

2026 წელი

ზოგადი ინფორმაცია

1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავსშპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის მიერ შემუშავებულ რემედიაციის მექანიზმებს;
ტერმინის განმარტება:
რემედიაცია -არის სწავლაში ხარვეზების აღმოფხრაზე ორიენტირებული სწავლება. რემედიაცია ეხება იმ მოსწავლეებს, რომლებსაც აღმოაჩნდათ ცოდნის და უნარჩვევების მნიშვნელოვანი ხარვეზები განმავითარებელი შეფასების მონაცემების მიხედვით. რემედიაცია არის შესაძლებლობა იმისა, რომ დამატებითი მხარდაჭერა და დახმარება შევთავაზოთ იმ მოსწავლეებს, რომლებმაც სტანდარტული საკლასო რეჟიმით სწავლების პირობებში ვერ შეძლეს ძირითადი ცნებების ათვისება და უნარ– ჩვევების განვითარება დამაკმაყოფილებელ დონეზე.

მუხლი 1. რემედიაციის პროგრამის მიზანია:

- შპს გია მურღულიას უნივერსალურ სკოლაში მოსწავლეთა ხელშეწყობა სწავლის ფუნდამენტური უნარების (წიგნიერება და მათემატიკა) ათვისების კუთხით არსებული სირთულეების აღმოფხვრა.
- რემედიაციის პროგრამაში ჩართული მოსწავლეების მიერ სასწავლო პროგრამის დაძლევა.

მუხლი 2. ჩართული მხარეები:

- კონკრეტული კლასის მოსწავლე, რომელიც საჭიროებს რემედიაციულ მხარდაჭერას
- რემედიატორი მასწავლებელი
- კლასის დამრიგებელი
- მოსწავლის მშობელი
- სკოლის ადმინისტრაცია

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების ძირითადი საფეხურები:

- მოსწავლეთა სკრინინგი და შედეგების ანალიზი; ტესტირება, ტესტების შემოწმება, მშობელთან შეხვედრა და გეგმის შეთანხმება, ფოკუსირებული ტესტირება და შემოწმება
- სამიზნე ჯგუფის დიაგნოსტირება და შედეგების ანალიზი;
- სამიზნე ჯგუფის დაკომპლექტება;
- სარემედიაციო პროგრამის და გაკვეთილის გეგმების შედგენა;
- სარემედიაციო გაკვეთილების ჩატარება;

შერჩეულ მოსწავლეთა მშობელთან და დირექტორთან ერთად რემედიატორმა მასწავლებელმა უნდა შეადგინოს რემედიაციის გრაფიკი, სკრინინგული და ფოკუსირებული ტესტირებისა და ზეპირი დიაგნოსტიკური ინტერვიუს შედეგების საფუძველზე მასწავლებელმა და დირექტორმა უნდა შეიმუშავონ სარემედიაციო პროგრამა და ჩასატარებელი სასწავლო აქტივობები

• პროგრესის მონიტორინტი და შუალედური შეფასება;

მასწავლებელი მოსწავლეებს აკვირდება გაკვეთილის მსვლელობისას და აღრიცხავს თითოეული მოსწავლის წინსვლასა თუ შეფერხებებს სპეციალურად შედგენილი ცხრილის გამოყენებით.
ქმნის ინდივიდუალურ პორტფოლიოებს, აქვს კომუნიკაცია მშობლებთან და მოსწავლის ძირითად საგნობრივ მასწავლებლებთან, დირექტოპრი ესწრება სარემედიაციო გაკვეთილებს და აძლევს უკუკავშირს. რემედიატორი მასწავლებელი ანგარიშვალდებულია დირექციის წინაშე.

- ინტერვენციების შედეგების ანალიზი

6 კვირიანი პროგრამის დასრულების შემდეგ მასწავლებელი ამოწმებს მოსწავლის მიერ მიღწეულ პროგრესს სამიზნე უნარებში. რისთვისაც იყენებს პრეტესტის მსგავს პოსტესტსზე, მასწავლებელი ამოწმებს ნაშრომებს და ახდენს შედეგების ანალიზს.

• შემაჯამებელი შეფასება.

ინტერვენციის პროგრამისა და მისი შედეგების ანალიზის შემდეგ უნდა ჩატარედეს შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც კოლეგა მასწავლებლებს ჯგუფი გაუზიარებს დასკვნებს რემედიაციის პროგრამასთან და შედეგებთან დაკავშირებით.

დიაგნოსტიკის ფაზაში ასევე შედის შედეგების ანალიზი, მშობლებთან გასაუბრება სარემედიაციო პროგრამაში ჩართვისთვის ნებართვის მისაღებად და მოსწავლეთა პორტფოლიოების შექმნა. დეტალური მონაცემების შეგროვება და სიღრმისეული ანალიზი ასევე აადვილებს რელევანტური მეთოდების/აქტივობების შერჩევას და ეფექტური გაკვეთილების დაგეგმვას.

მუხლი 4. სარემედიაციო პროგრამის ინტენსივობა

სარემედიაციო პროგრამა თითოეულ საგანში ითვალისწინებს 18 გაკვეთილს(გაკვეთილის ხანგრძლივობა 40-45 წთ) რომელიც ჩატარდება 6 კვირის განმავლობაში(კვირაში 3 გაკვეთილი).გაკვეთილები ტარდება არასაგაკვეთილო დროს.

რემედიაციის მიზნების და ასახვისთვის დიდად სასარგებლო და გამოსადეგია SMART სტრატეგია

S – კონკრეტული (specific)	სარემედიაციო პროცესის/მეცადინეობების მიზანი ძალიან მკაფიოდ და კონკრეტულად უნდა იყოს განსაზღვრული და ერთ კონკრეტულ კომპეტენციაზე ორიენტირებული.
M – გაზომვადი (measurable)	სარემედიაციო მეცადინეობების შედეგი უნდა იზომებოდეს კონკრეტული ინდიკატორების გამოყენებით.
A – მიღწევადი (achievable)	სარემედიაციო მეცადინეობების შედეგად მოსწავლემ უნდა შეძლოს დასახული მიზნის მიღწევა / კომპეტენციის გამომუშავება განვითარების აქტუალურ ზონაზე დაყრდნობით.
R – რელევანტური (relevant)	სარემედიაციო აქტივობები ლოგიკურად უნდა ებმოდეს ერთმანეთს და შეესაბამებოდეს მოსწავლის საჭიროებებსა და დასახულ მიზნებს.
T – დროში განსაზღვრული (timely)	უნდა განისაზღვროს სარემედიაციო პროცესის ხანგრძლივობა და ძირითადი ფაზები.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1.რემედიაციის მექანიზმს ამტკიცებს სკოლის დირექტორი ბრძანების საფუძველზე.

2.რემედიაციის მექანიზმში ცვლილების შეტანა ხორციელდება საჭიროებისამებ დირექტორის ბრძანებით.